ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03-05/80

ქალაქი ბათუმი, 27.12 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით და მეორეს მხრივ შპს. „ივიჯი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ედნარ გელაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის (CPVკოდი:30200000) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, გამარტივებული შეყიდვის განხორციელების გზით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3572,99** (სამიათასხუთასსამოცდათორმეტი ლარი და 99 თეთრი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა 30.12.2016წ.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 330

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მოთხოვნის შესაბამისად მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
5.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ. ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლის დირექტორი გიორგი რუხაძე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

EVG 24543927 GEORGIA. "EVG" LTD

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის ,შესრულდება ქართულ ენაზე.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ. ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა	შპს. „ივიჯი"
მის: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №330	მის: ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა №66
ს/კ 248385395	ს/კ 245439271
სს „ლიბერთი ბანკი" ხელვაჩაურის ფილიალი	„თიბისი" ბანკი ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE 22	ბანკის კოდი: TBCBGE 22
ა/ა GE36LB0121181048034000	ა/ა GE 23 TB1063536020146701
შემსყიდველი	მიმწოდებელი

27.12.2016წლის №03-05/80 ხელშეკრულების

დანართი №1

№	დასახელება	CPV კოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	სისტემური ბლოკი:Core I5 4460 3.2Ghz 6MB/Asus H81M-K/ATX/DDR III 4GB/HDD 500GB/DVD-RW	30200000	ცალი	3	1133,33	3399,99
2	Palit Geforce GT 710 2 GB 64 bit	30200000	ცალი	1	173,00	173,00
	სულ:					3572,99

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო

სკოლის დირექტორი: გ.რუხაძე

მიმწოდებელი:

შპს „ივიჯი"

მიღება - ჩაბარების აქტი

29.12. 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს ,,ივიჯი" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა (შემდგომში-„შემსყიდველი") მისი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 27 დეკემბრის №03-05/80 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით „მიმწოდებელმა" ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო:

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	სისტემური ბლოკი:Core I5 4460 3.2Ghz 6MB/Asus H81M-K/ATX/DDR III 4GB/HDD 500GB/DVD-RW	ცალი	3	1133,33	3399,99
2	Palit Geforce GT 710 2 GB 64 bit	ცალი	1	173,00	173,00
	სულ:				3572,99

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით.

ჩააბარა: /ე. გელაძე/

მიიღო: / გ.რუხაძე

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0281394698

2	29/12/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	12:27:17

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ივიჯი	245439271
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ ბათუმის #22 საჯარო სკოლა	248385395
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის N66

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ფრიდონ ხალვაშის გამშზირი 330

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	სხვა

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	სისტემური ბლოკი:Core I5 4460 3.2Ghz 6MB/Asus H81M-K/ATX/DDR III 4GB/HDD 500GB/DVD-RW	1133	ცალი	3.0000	1133.3300	3399.9900
2	Palit Geforce GT 710 2 GB 64 bit	173	ცალი	1.0000	173.0000	173.0000

13	3572.99 - სამი ათას ხუთას სამოცდათორმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტ

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო ანგარიშსწორება

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით. აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 29/12/2016, 15:31:54

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 4176

თარიღი: 2016 წლის 30 12, პარასკევი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ "ქალაქ ბათუმის #22 საჯარო სკოლა"
ანგარიში (დებეტი):	GE36LB0121181048034000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს ,,ივოჯი"
საიდენტიფიკაციო კოდი:	245439271
ანგარიში (კრედიტი):	GE23TB1063536020146701
მიმღების ბანკი:	"თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:	TBCBGE22
გადახდის დანიშნულება:	კომპიუტერული ტექნიკის ღირებულება
ხელმოწერა:	

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

3572.99

თანხა სიტყვიერად

სამი ათას ხუთას სამოცდათორმეტი GEL და 99

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 30.12.2016

ხელმოწერა: